ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 18

"18" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-313-22-19802 ხელშეკრულებით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ 01001028428) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №20.108.114 განკარგულების შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 6 ივნისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-313-22-19802 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-7 მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 6 ივნისიდან - 2019 წლის 23 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან როინი მკალავიშვილის (პ/ნ 01001028428) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე